ხუთშაბათი, 8 იანვარი 1904 წ. 1877 წლიწადი ოც-დამერვე 1904 ხუთშაბათი, 8 იანვარი 1!

# ივერია

№ 5 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 5


**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა.**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1-ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

# 1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებასა და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„აღდგომა“** („Воскресеніе“) და ალ. სუმბათაშვილის დრამა **„ღალატი“** (Измѣна). ეს უკანასკნელი წიგნი იბეჭდება, ავტორის სურათით, და ხელის მომწერთ იანვრის გასულს დაურიგდებათ.

**5** მანეთად ტფილისში და **7** მანეთად ტფილისს გარეშე

დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს. ამათაც შეუძლიანთ ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანონ.

გაზ. ,,ივერიის‘‘ **კონტორა** ყოველ-დღე ღია არის—დილის 9 საათიდამ 3 სათამამდე და საღამოს 5 საათიდამ 8-მდე; კვირა და უქმე დღეს—12 საათ. 2 საათამდე.

რედაქციას ნება აქვს შეამოკლოს და შეასწოროს დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილი, არ დაბეჭდილ წერილების შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

## ხელის-მოწერა მიიღება:

**ტფილისში**:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურთა ქარვასლა.

**ქუთაისში**:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში, ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

**ბათომში**:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

**სამტრედიაში**:—პეტრე მაჭავარიანთან.

**შორაპანში**:—პართენ ნასიძესთან.

**გაგრაში**:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

**გორში**:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**საფოსტო ადრესი**: Тифлисъ, Редакція „Иверія“.


რთინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა

## ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

## იჯარით აქვს

სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგ საქმეებს:

1) გადიიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გადიიღებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეცამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) საუცხოვოდ დახატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ენახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონ მე მოძღვრიძე**.

## ქართული თეატრი

ხუთშაბაას, 8 იანვარს, 1904 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

**ვ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით**

### დამნაშავის ოჯახი

დრამა 5 მოქ. თარ. ჯაჯანაშვილისა.

კორრადოს როლს შეასრულებს ვ. ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, ა. გარგარეთელისა, ლ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, მატარაძე, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: ნ. ჩხეიძის პიესით „მუშაკი და ნებიერი“.

რეჟისორი **აკაკი**.

ტფილისის სახაზინო თეატრი

**რუსული ოპერა**

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

**ხუთშაბათს, 8 იანვარს 1904 წ.**

წარმოდგენილი იქნება

### ბოშების ბარონი

ოპერა 3 მოქ. მუსიკა ი. შტრაუსისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ჩიჟოვისა, კარტავინა, სელიუკ, ლელენა, ბ-ნნი: რაისკი, სელიავინი, შმაკოვი, თულაევი, ფედოროვი, გავრილოვი.

მეორე მოქმედებაში შეასრულებს პრიმა-ბალერინა assabuto ბიანკა ჯელატო; ბ-ნი ადლერი და მთელი ბალეტი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

კაპელმეისტერი ბ-ნი პოზენი

ანონსი. ხვალ, პარასკევს 9 იანვარს

1904 წ. წარმოდგენილი იქმნება ,,ფაუსტი‘‘ ვალპურგიევის ღამით, ოპერა 5 მოქმ. 7 სურათათ. მუსიკა ჰუნოსი.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემული საქართველოს

## კალენდარი

ვ. გუნიასი

რედაქცია ვ. გოგიჩაიშვილისა.

კალენდარში მოთავსებულია სრულიად ახლად შესწორებული შემდეგი განყოფილებანი:.. 1. საეკლესიო კალენდარი, 2. ცა და დედამიწა ასტრონომიულ-გეოლოგიური ცნობები. 3. სახელმწიფოთა მიმოხილვა, 4 კავკასია და საქართველო, 5. ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რკინის გზა, გემების მიმოსვლა, 6. იურიდიული ცნობები, 7. წონა, ზომა, საწყაო და სხ., 8. სამეურნეო და საექიმო ცნობები, 9. სალიტერატურო განყოფილება, 10. ვრცელი საადრესო კალენდარი.—კალენდარში დაბეჭდილია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: ა) სარწმუნოება საქართველოში, მ. ჯანაშვილისა, ბ) ცა და დედამიწა, X-ისა, გ) სახელმწიფოთა მართვა-გამგეობის ფორმები, დ) საქართველოს მართვა-გამგეობა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, ე) ქართველი მწერლობა, ვ. უმიკაშვილისა, ვ) ენა და ერი, ვ. სურგულაძისა და სხვ.

კალენდარი დასურათებულია მრავალი სურათით. კალენდარი შეიცავს 800-მდე გვერდს. ფასი ერთი მანეთი.

3—2

### ექიმი

## ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აბეტისიანცი.** 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ა. კ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**საღამოობით.**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**გ. ს. ლევი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა**. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ვ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 8½—8 ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (**Набережная**) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე.** კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

**ლ. ი. კამოევი.** საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მოზინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ბრ. ვ. სოგოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274.


ტფილისი, 8 იანვარი.

წლევანდელი წელიწადი გურია-იმერეთისათვის დიდის გაჭირვებისა და შიშის წელიწადია. ყველამ იცის, გაზეთების წყალობით, თუ რა აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებიან მოუსავლობის გამო გურულ-იმერნი.

შარშან-წინ, 1902 წ., ამავე მოუსავლობამ, ცოტა ოდნად შეაფიქრიანა გურულები და ისედაც გამოქექილი სოფლის ოჯახი უფრო დააღარიბა.

ძლივ-ძლიობით გამოიკვებ ეს თავი და ,,გააჩანჩალეს‘‘ ტანჯული სული 1903 წლის მოსავლამდე; ახლა უფრო მხნედ და ერდგულად შეუდგნენ მუშაობას: დიდი, პატარა, ქალი, კაცი ხვნა-თესვას მიაწყდა, რომ შარშანდელი დანაკლისი წელს შეევსო, გასული წლის დარჩენილი და მომავალი გადასახადები (მღვდლისა, მამასახლისისა, ერისა, ბერისა და მტერ-მოყვარისა) დაუყოვნებლივ გაესტუმრებინა... მუშაობდნენ გულ-მოდგინედ, დაუსვენებლივ და პირველ ხანებში კარგი პირი უჩანდა ყანა-ვენახსაო, მაგრამ... ბუნების ძალამ, სისასტიკემ წელს ჩვეულებრივ გაინავარდა მცხოვრებლებზე; წყალდიდობამ უარესი სატანჯველი დღე გაუთენა. ნამუშევარი: სიმინდი, ღომი, ყურძენი, ერთიანად გაანადგურა, ყანები მოწმინდა ხელის გულივით... ეს აღარ აკმარა ისედაც წამებულთ და კიდევ მეორე უბედურობა დაურთო: სიმინდს პეპელა გაუჩნდა.

ასე თუ ისე, დადგა ნამდვილი სიმშილობის ხანა, გურულებისთვის საჭიროა რადიკალური ღონის ძიება და ჲი ამ ღონისძიებას უნდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება. პატარა ხანს სხვა გარემოება გავიხსენოთ.

ჩვენის გაზეთის მე-266 №-ში ქ. ტომსკიდან კორესპოდენცია იყო ბ-ნ ტყის-პირელისა. აი რას იწერება კორესპონდენტი..... «ტომსკის გუბერნიაში ამის მსგავსი (გურია-იმერეთის) უბედურება მოხდა წელს. როდესაც ახალი ქვავის ხარჯვა დაიწყეს აქაურებმა, ზოგიერთ ოჯახებში რაღაც უცნაური სენი გაჩნდა, ექიმებმა ნახეს, რომ ავადმყოფთა სისხლი სრულიად მოეწამლა რაღაცას... სენის გაჩენის მიზეზის ეჭვი ახლად შემოსულ ქვავზე მიიტანეს. სპეციალისტებმა მაშინვე ქიმიურად გასინჯეს ქვავის ფქვილი, და ფქვილი მოწამლული გამოდგა. ამ საწამლავს რუსეთში ,,სპორინია‘‘-ს უწოდებენ... ამის შესახებ წაიკითხეს საზოგადო ლექციები. როგორც ლექციებიდგან გავიგეთ ,,სპორინია‘‘ სოკო ყოფილა. პურის მარცვალს წააგავს.. ფერად შავია.. ვინ იცის რას მოუტანს გურია-იმერეთს წლევანდელი დაუპატიჟებელი სტუმარი‘‘ო.

ამ წერილმა ჩვენც უნდა დაგვაფიქროს. შესაძლოა, რომ გურიაშიც გაჩნდეს ამგვარი რამ სენი. ძველს სიმინდს ასე აღგვიწერენ მნახველნი. მარცვლების მეტის ნაწილის შუა გული გამოხრულია და რომლის გულიც გამოხრული არ არის—გაშავებულია როცა გახსნა ხან გულ გაშავებულ მარცვალის ოდენა (ცოტა ნაკლები), ისე, როგორც ბ-ნი ტყის პირელი იწერება. კარგად რომ დააკვირდეთ თითქოს ინძრევაო; ხელში რომ გაჭყლიტო, უფერული წყალი გამოსდის. ცხადია, რომ ეს პეპელად გამოვა, სასიმინდეში რომ შეხვიდე და სიმინდს (ძველს) აურიო ჯოხით—ამოფრინდება პატარა პეპლების გროვა და არა-სასიამოვნო სუნიც გეცემა ცხვირში. ასევე მოიქცნენ ახალ სიმინდის მარცვლების შესახებ, ამნაირი სურათი აღმოჩნდა, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იმდენი სიშავე არ ეტყობოდა სიმინდის გულს...

ადვილად შესაძლებელია, რომ ამ პეპელამაც ისეთივე სენი გააჩინოს, როგორსაც ,,სპორნია‘‘-საგან გაჩენილია ტომსკის გუბერნიაში და მუსრი გაავლოს მცხოვრებთ. როდესაც ასეთის (პეპლიან) ფქვილის ქადი სჭამეს, სიმწარე შეამჩნიეს და მჭადიც ფერად მოშავო იყო.

განა კალმით აიწერება ის აუტანელი მდგომარეობა და წუხილი, რასაც სოფლელები გრძნობენ? უნდა თქვენი ყურით მოისმინოთ ხნიერ და მოსწრებულ კაცთა ჩივილი, ამბობს ბ-ნი ტყის პირელი ძველად ჟამობას, ვიდრე ჟამი გაჩნდებოდა, ორი-სამი წლის წინად სიმინდს ამნაირად გაუჩნდა პეპელა და განა ეს არ კმარა, ვიფიქროთ, რომ ეხლაც ეგ პეპელა ჟამის დაწყების ნიშანია?!

აქ ბევრი ლაპარაკი და გაზეთებში წერა გაჭირვებას ვერ მოეხმარება, ვერას უშველის, არამედ მივაქცევთ ჩვენის ექიმ-სპეციალისტების ყურადღებას ამ მოვლენას, დაუყონებლივ გაშინჯ-გამოიკვლიონ ქიმიურად და ადრევე აუწყონ მცხოვრებთ და ინტელიგენციას, რომ თუ ვინიცობაა, შესაძლოა ადამიანი ასეთის ,,მჭადით‘‘ დაავადმყოფდეს და სენი გაუჩნდეს—სრულებით აუკრძალონ მისი ხმარება და რომ მთლად სიმშილით არ

...ენ, ინტელიგენციამ და შე... მა გულშემატკივრებმა უნ... ნ დახმარება ფულით და ... ქვილის მიწოდებით. უნდა ... აგრეთვე მთელი კომიტე... მლის მოვალეობაც იქმნება ... წირულებათა შეგროვება და ... წილება მცხოვრებთა შორის. ... აქცევთ აგრეთვე გურიის ინტე... გენციისა და შეძლებულთა ყუ... ადღებას. სასურველია, რომ იმა... თაც ამოიღონ ხმა.

ნუ მივეგებებით ამნაირ ამბავს გულ-გრილად და ნუ მოვიყრუებთ ქართველურად ყურს, მხნედ მოვკიდოთ ამ საქმეს ხელი და თავის დროზე ვუშველოთ ხალხსა და გადავარჩინოდ ამოწყვეტასა და განადგურებას.

# ტფილისი

შარშან გაგრაში მცენარეულობის ... ფენაზედ ყველა მცენარე არ იყო ... მოფენი... ამიტომ წრეულსაც გაიმართება ... მატები... გამოფენა მცენარეულობისა.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუ... ის ბ-ნ ზავადსკის წმ. ანნას პირველ ... ხის ორდენი ებოძა.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს დი... რის განუზრახავს სამარხი კასა დააარ... თავის სამწყსოს სამღვდელოთათვის.

... 8 იანვარს ქართულ თეატრ... ... პიულ საზოგადოების დასის ... ალექსი-მესხიშვილის მონაწილეო... წარმოდგენილ იქმნება ხუთ-მოქმედე... ბიანი დრამა „დამნაშავის ოჯახი“. ად... ების ფასი ჩვეულებრივია.

14 იანვარს ბათუმში გაიმართება ... ქართული საღამო ქ. შ. ... წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგა... დოების სასარგებლოდ.

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო ... ურნეო საზოგადოებამ მარსელიდან ... ქვსი ვაგონი გოგირდი.

ამ წლის გაზაფხულს შეუდგებიან ... ბანკის ტფილისის განყოფი... საკუთარ შენობის აგებას. სა... შენობის ადგილი შეიძინა ლორის... თავისა და ბარონის ქუჩის კუთხეში.

... იანვარს ტფილისის მასწავლებელ ... საზოგადოებამ ბავშვებს შობის ხე ... ბეჟიტინის ცირკში.

4 იანვარს სამხედრო საისტორი... შენობაში დაიწყო გამოფენა ... რივ მხატვართა სურათებისა. სუ... საუთვნით ზოგი ტფილისელთათვის ... ცნობ მხატვართ, ზოგი-კი ახლებს.

17 იანვარს დანიშნულია კრება ქა... ქუჩების მომკირწყვლელ კომისიისა. ... ისიას 4 იანვარსაც ჰქონდა კრება, ... სას უნდა განეხილა განცხადებანი ბელ... უსახელო საზოგადოების და ორის სხვა ... მისა „გიორგასი“ და „კუტო“-სი. ამათ ... იჯარა აიღონ და შემოიტანონ რუმინი... ქვა ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად. ... „გიორგი“ „კუტო“-ზე 13,600 მანეთით ნაკლებ ჰპირდება ქვის შემოტანას. ბელგიის უსახელო საზოგადოება-კი „კუტო“-ზე მეტს ითხოვს. კომისიამ ვერა დაადგინა-რა და ამიტომ გადასდო ამ საგნის განხილვა 17 იანვრისათვის.

როგორც გვატყობინებენ, ბოროტ-განმზრახველთ ტეზის,—გორის მაზრა—მართლმადიდებელთა ეკლესია გაუტეხიათ და გაუტანიათ სხვა-და-სხვა ნივთები. ბოროტ-განმზრახველთა კვალისთვის ჯერ-ჯერობით ვერ მიუგნიათ.

ზოგიერთ ათთვაქებში სასწორი და საწონი სწორე არა აქვთ. ამითი ისინი ატყუებენ ხალხს, ნამეტნავად გაუნათლებელთ. ტფილისის სამკურნალო გამგეობამ შეუთვალა ყველა მეაფთიაქეებს, სწორე სასწორი და საწონი ქვები იქონიეთ, თორემ პასუხისგებაში იქნებით მიცემულნიო. კერძო აფთიაქის პატრონებმა სასწორი და გირები უნდა წარადგინონ შესამოწმებლად.

ტფილისის ლექტორთა კრებამ დაადგინა, ლექციების კითხვა 12 იანვრიდან დაიწყოს.

ამ თვის ბოლო რიცხვებში პეტერბურგში დანიშნულია მინისტრის ამხანაგის ბ-ნ სტევენის თავმჯდომარეობით საგანგებო ბჭობა ღვინის კანონის შესახებ. კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მხრივ წარმომადგენლებად დანიშნული არიან თავ. ს. რ. ვახვახიშვილი და ნ. ა. ვერმიშევი.

4 იანვარს ნიკოლოზის სახელობის ქალაქის სკოლაში ამ სკოლის მთავრობა ბავშვებს შობის ხე გაუმართა. საღამოს 7 საათზე სკოლის დარბაზი ერთიან გაივსო ბავშვებით. სულ 140 ბავშვი დაესწრო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბავშვებმა ბევრი იმღერეს და იცეკვეს. დასასრულ ბავშვებს ტკბილეულობა დაურიგეს.

5 იანვარს პეტრე-პავლეს ეკლესიასთან სამრევლო სკოლის დარბაზში შობის ხე იქმნა გამართული ბავშვთათვის. საღამოს დიდძალი ბავშვობა დაესწრო.

ბათუმში დაუარსებიათ სამარხი კასა. პირველ იანვრიდან კასას მოქმედება დაუწყია. კასის გამგეობის წევრებად აურჩევიათ ბ.-ნნი: ვლასოვი, ლომინაძე და გოგოლაშვილი.

სიონის ქუჩა გრანიტით არის მოკირწყლული, მაგრამ ამ ჟამად ისე გაფუჭებულია, რომ ოღრო-ჩოღროების გამო, ცხენები ფეხს იტეხენ. პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ამ ... და შეუთვალა ტფილისის გამგეობას, ეს ქუჩა მოასწორეთო.

შორაპანსა და საჩხერეს შუა სახალხო მატარებლის წესიერი მიმოსვლა დაწყებულა. მატარებლის მიმოსვლას მცხოვრებნი ერთობ აღტაცებით მიჰგებებიან.

4 იანვარს, განჯის დაპყრობიდან 100 წლის შესრულების დღეს, ტფილისის ქალაქის მოურავმა დეპეშით მიულოცა განჯის ქალაქის მოურავს. განჯის ქალაქის მოურავმა ტფილისის ქალაქის თავს სამადლობელი დეპეშა გამოუგზავნა.

პეტერბურგიდან ფოთის ქალაქის თავს დეპეშით უცნობებიათ თავის მოადგილესათვის, პორტის ახალ სამუშაოს განაწილების საქმე ქალაქსა და ხაზინას შორის ქალაქის სახეიროდ გადასწყდებაო.

პირიქით ხევსურეთში მომავალ ზაფხულ დან ინიშნება 10 ჩაფარი ორის მაგივრად ხევსურების ქისტებისაგან დასაცველად. დარაჯთა რაზმი იდგება სოფ. შატილში.

# ჩვენებური ამბები

**ს. სიღნაღი.** დაგვიზამთრდა, ცივა, ცა ტყვიის ფერად შემოსა, დეკემბრის პირველ რიცხვებში სიღნაღს და მახლობელ არე-მარეს თეთრი მანტია გადაეხურა, ამან-კი ძრიელ დაადონა სიღნაღის ბულვარის მოჭიკჭიკე «პრიკაზჩიკები», მაგრამ დიდ ხანს-კი არა, მოგეხსენებათ, «ხერხი სჯობია ღონესაო», ამათაც ხერხი მოიგონეს: მიმართეს «კლუბს». სიღნაღის საზოგადოების საკრებულო დარბაზმა კარი გაუღო «ბულვარისტებს» და გადაუშალა სული და გული. აი ამ დარბაზში იკრიბებიან «პრიკაზჩიკები» კვირაში ერთხელ, ხან ორჯელ; საღამოს 7 საათიდან განთიადის შუქ საათამდე გაჰკივიან ლოტოს ნომრებს. ბევრჯელ ლოტოს დროს მუშტი კრივსაც გამართვენ ხოლმე და ვაი იმისი ბრალი, ვისაც დაჩაქი ხვდება, სულ ნაფლეთ ნაფლეთებად უქცევენ ხოლმე. შარშან ერთმა ქალმა ერთი სტალო ნაჟიდი ფქვილი წააგო თურმე ლოტოში, პატარა შვილები-კი დასტოვა უღუკმა პუროდ. მართლაც და ჩვენს სიღნაღში ძნელად შეხვდებით იმისთანა ქალს, რომ ან ნერვებიანი არ იყოს, ან გულის ფრიალი არა ჰქონდეს სტეხილი თამაშობისაგან.

ლოტოს და ბანქოს გარდა, ხანდის-ხან გასართობად მხიარულობასაც იციან: მართვენ ათასში ერთხელ წარმოდგენებს, კონცერტებს და მეჯლისებს. ერთი ამისთანა «ბალი» ამ თვის 13-შიაც გამართეს საქველ-მოქმედო აზრით.

მეათე საათი იყო და მეც შევედი ჩვენი „კლუბის“ კარებში. არა, რა მეღიდკაცებოდა, რატომ ცოტა ადრე არ წავედ. დღეოდღის წყაროზე მდგომ ტყერის 43 დრაგუნთა ორკესტრის მუზიკას გრიალი გაჰქონდა. კავალერების ფეხების ბრახუნისაგან მთელი დარბაზი ზანზარებდა, ჩვენს მოჭიკ-ჭიკე-მოცეკვავე «პრიკაზჩიკებს» გადასდიოდათ ხვითქი და დობე მძვრალა ჩიტებივით თავისუფლად დაძვრებოდნენ მოცეკვავე კავალრებში. შესვლის ფასი იყო ქალებზე 1 მ. 10 კ., კაცებზე 1 მ. 60 კ. რაც შეეხება ჩვენს მძინარა სიღნაღს, ხალხი ცოტა საკმაოდ დაესწრო ვახშამიცა ჰქონდათ. ხარჯებს გადარჩა რამ თუ არა, ამას-კი ნუღარა მკითხავთ.

ერთი კარგი ჩვეულება ჰქონიათ სიღნაღის კლუბში. მე გირჩევთ, სიღნაღის კლუბში რომ მიბძანდებოდეთ, თან ბაწარი წაიღეთ, შეხვალთ თუ არა, კალოშები უნდა გაიხადოთ, მაგრამ ტალახში-კი არ დასტოვოთ, გადააბით ბაწრით, გადიკიდეთ მხარზე, და თქვენი საქონელი თქვენვე ატარეთ. თუ ესე არ მოიქცევით, გუშინდელი ნაყიდი ახალი კალოშები ძველებად გადიქცევიან. გამოვა ვიღაც გაკოტრებული დარბაისელი ვაჟბატონი, ჩაჰყოფს შენს კოპწია კალოშებში ფეხს, თავის ორი წლის ნათრევ ჯღანებს დასტოვებს, მოისხამს გახუხებულ ტურის თუღლუფს და ჰაიდა!—ბიჭო!

ამ მეჯლიშიაც სწორედ ასევე მოხდა: დაეკარგა კალოშები მკურნალ ნაუმენკოს, ხაზინადარ ვინოგრადოვს, ერთ ემაწვილ კაცს, (ცნობა არ გვაქვს), ბევრი ძებნის შემდეგ, მეორე დღეს იპოვეს საწყალი კალოშები და ჯღანები დაუბრუნეს პატრონებს. მაგრამ ის ემაწვილი კაცი თურმე დღესაც გლოვობს თავის ახალ კალოშებს. ამ მეჯლიშში მონარჩენი ფული მოახმარეს ტუსაღებს.

ჩვენ-კი გვგონია, მარიამის ოთხ-კლასიან სასწავლებელში მოსწავლე დარიბ ქალებს უფრო დიდ ნუ რასმე, ან სამოქალაქო სკოლაში მოსწავლე, სოფლიდან მოსიარულე ყმაწვილებს შეეწევიან, განა ცოტანი არიან ფეხშიშველნი რომელთაც წიგნის ყიდვის ღონე არა აქვთ. კარგი იქნებოდა, რომ პატარა ამათთვისაც ეწილადებინათ.

სიღნაღელი.

# რუსეთი

ღარიბ ლიტერატორთა დამახმარებელ საზოგადოების წევრთა კრება იყო 28 დეკემბერს პეტერბურგში, სენატორის ტაგანცევის თავმჯდომარეობით. წაკითხულ და დამტკიცებულ იქმნა ანგარიში გამგეობისა წარსული წლის სამის თვისა—ოკტომბერ, ნოემბერ და დეკემბრისა. ამ სამს თვეში საზოგადოებამ აღმოუჩინა დახმარება 75 მწერალს და მისცა ერთხანად 3,395 მ.; 17 მწერალს ნაწილ-ნაწილად გაუტანია 90 მანათიდგან 300 მანეთამდე და ერთსაც პენსიად მიეცა 300 მანათი, სულ 3,070 მან.; უვადო სესხად გაუტანია 16 მწერალს, 50 მანათიდგან 200 მანათამდე, სულ 1,640 მან.; სამს მწერალს ვადიან სესხად წაუღია 75 მანათიდგან 200 მანათამდე; 3 მოსწავლეს მიეცა საზრდოდ და სწავლის ფული 364 მან. და 5 სტუდენტს 750 მან.

საზოგადოების შემოსვლია, ძმათა გოლუბოვებთაგან 150,000 მანათი ღარიბ მწერალთა სადგურებისათვის სახლის ასაგებად. ექიმ ა. ფესენკოსაგან ანდერძით 5,000 მან., მოსკოვის სახელოვნო-სალიტერატურო საზოგადოების თავმჯდომარე სუმბათაშვილისაგან—1000 მანეთი პრემიად საუკეთესო თხზულებისათვის ბეჭვდის კანონის შემუშავების შესახებ, და სხვა მრავალი შეწირულობა. 1902 წლის პირველ იანვრისათვის საზოგადოებას ჰქონია თანხა 489,506 მანათი და წლის განმავლობაში შემოსულა 319,203 მანათი. ამავე დროს დახარჯულა 135,789 მანათი. 29 დეკემბერს ნაღდად ჰქონია 672,921 მან.

— რადგან გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომც რუსეთი და იაპონია ერთმანერთს ეჯიბრებიან სხვა-და-სხვა სახელმწიფოებისა და კერძო ფირმებისაგან სამხედრო გემების შესყიდვაში, „რუსეთის დეპეშათა სააგენტო“, მთავრობის მინდობილობით, აცხადებს, რომ სამხედრო სამინისტროს სრულიად არა აქვს განზრახულება შეისყიდოს ვისგანმე სამხედრო გემები და არ არავისთვის მიუნდვია რაიმე მოლაპარაკე... იქონიოს ვისთანმე ამ საგნის შესახებ.

# უცხოეთი

**იაპონია.** იაპონიის ადმირალს მატუსოს უთქვამს ერთ ევროპიელ გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ ჩემი ქვეყანა სრულიად მზად არის საომრად და ყოველ ჟამს შეუძლიან ბრძოლა დაიწყოსო. იაპონიამ დიდი მოთმინება გამოიჩინა, მაგრამ თავის უფლების შელახვას-კი ვერ აიტანსო. იაპონიის მთავრობა თვალს არ არიდებს იმ განსაცდელს, რომელიც ომს მოჰყვეს, მაგრამ სხვა გზა არა აქვს თავის ინტერესების დასაცველადაო.

ინგლისი ჩვენი მოკავშირეა და თვისი თანაგრძნობა ცხადად დაამტკიცა, როდესაც ჩილისაგან ორი ჯავშნიანი გემი უნდა გვეყიდნა. შესაძლოა, ინგლისი მაშინადვე ჩაერიოს ომში, რაწამს ომი გამოცხადდებაო. მაინც და მაიაც, იაპონია რო დამარცხდეს კიდეც, დარწმუნებული ვართ, ინგლისი რუსეთს ნებას არ მისცემს სრულიად შეგვმუსროს და მიწასთან გაგვასწოროსო.

**ინგლისი.** გაზეთი „Temps“ მოწინავე წერილში ამბობს: ჩვენ ვერ დავთანხმდებით, რომ უპირატესობა შორეულ აღმოსავლეთში იმ სახელმწიფომ დაიჭიროს, რომელიც აქამომდე ჩვენი წინააღმდეგი იყო ყოველისფერში და არც ერთხელ მისი თანაგრძნობა არ გვესმისო. ჩვენი ვაჭრობა, ინდოეთი, ავსტრალია და ყოველი ჩვენი სამფლობელო მშვიდ ოკეანეზე ვალად გვიდებს ყოველის ძალღონით ვეწინააღმდეგოთო. ჩვენ გულგრილად ვერ ვუმზერთ იაპონიის დამარცხებასა და ვერ მოვითმენთ, რომ იგი უმნიშვნელო სახელმწიფოთ გარდაიქცეს. ომი ჩვენთვის მეტად მძიმე ტვირთია, მაგრამ იგი, საუბედუროდ, მოსალოდნელია.

**ბელგიასა და ჰოლანდიას** ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ სამეგობრო ხელშეკრულობა დადოთო. ორთავე სახელმწიფოს მწერლობა თანაუგრძნობს ამ აზრს, რადგან ცალცალკე ორივე სახელმწიფო სუსტია, დაკავშირებით-კი დიდს ძალას შეადგენენ. ამ ორ სახელმწიფოში 13,000,000 მცხოვრებია.

— გერმანელ პროფესორ ჰერდმანს გამოუკვლევია კუნძულ ცეილონზე, როგორა ჩნდება მარგალიტი. აქამომდე იცოდნენ, რომ მარგალიტი ჩნდებოდა ლოკოკინის კანზედ. ლოკოკინას რაღაც უცხო საგანი მიეკვროდა თურმე და კანს სადაფის ფრად აბუშტებდა. ხოლო რა იყო ეს უცხო საგანი, არავინ იცოდა. პროფესორმა ჰერდმანმა აღმოაჩინა, რომ ეს ერთგვარი მატლია, რომელიც ლოკოკინის კანსა ხვრეტს და შიგ თესლსა სდებს. ამ თესლს გარშემო სადაფის კანი გადეკვრის და დაბუშტდება. ეს არის მარგალიტი, რომელიც ფრიად ძვირფას და ლამაზ სამკაულად ითვლება.

# ფელეტონი

**როსტომი.**

(სურათი წარსულისა)

II

(დასასრული*)

...იარა ბევრმა ხანმა. შემოაღო კარ... და შემოვიდა ხუთი იარაღ-ასხმული ...

— ...ხვედრით მშვიდობით, შვილებო,— ... მოხუცი დედა შვილებს.

— ...შვედით და, აბა, დედავ, გვაჭამე ... დილიდან მშივრები ვართ, ჩვენს ... წყლის მეტი არა ჩასულა-რა, ქუ... გვიზიდეთ.

... დედას ვაჟებმა და, რა მოიხს... იარაღი, მივიდნენ ცეცხლთან, ცეცხ... გარშემო სტუმრის ტანისამოსი ეკი... გასაშრობად. დაინახეს ძმებმა ტანისა... თუ არა, შესდგნენ და, გა... ...ებმა, ცქერა დაუწყეს. კარგა ხანს ... ხმა ამოუღებლივ. ხან ერთი-ერთ... შეხედავდნენ და ხან გაიხედ-გა... ...დნენ სახლში, თითქო ეძებენ ვი...

...თან შენიშნეს გუდა და თოფი.

— ...დედავ, ვინა გყავს სახლში?.. ჰკითხა ...,—ვისია ეს ტანისამოსი, გუდა ...?!

...რთმა მეექვსე ვაჟი მაჩუქა დღეს, ... დედამ და მის სახეს რაღაც სიამოვნე ეტყო.

უფროსმა ვაჟმა გაიღიმა.

— რაა, შვილო, არ გესიამოვნა? - თითქო გაკვირვებით შენიშნა დედამ შვილს.

— არა, დედავ, უთხრა უფროსმა შვილმა,—შენი სიტყვები ყოველთვის სასიამოვნოა ჩემთვის. სტუმარი, ნამეტნავად შორეული, სხვა გვარ-ტომისა, თუნდ მოსისხლე მტერიც იყოს, ბედნიერებაა ყოველ სახლისათვის, ღვთის წყალობაა. მით უმეტეს, თუ შენ შვილად მიიღე, ჩვენი ძმაა...

— შუ-ღამისას, იმ ჯოჯხეთურ დროს, კარებში მომადგა ვიღაც უცნობი და ბინა მთხოვა, უამბო დედამ შვილებს,—ტანთჩაცმულობაზე და იერზე თუში უნდა იყოს, მეც მივეცი ბინა. ისეთი დასველებული იყო, რომ შეეცოდებოდა კაცს. ტანისამოსიდან, თავ-პირიდან ისე ჩამოსდიოდა წყალი, თითქო ყასიდათ ასხამენ თუნგიდანაო. ძრიელ შემეცოდა, შვილო,—დაასრულა მოხუცმა მანდილოსანმა,—გული მეტკინა, ტანისამოსი გამოუცვალე და თქვენ ლოგინში დავაწვინე.

— ეგ იცი, ვინც არის, დედავ? ვინა გყავს სახლში? უთხრა ვაჟმა მცნრეოდენი, სიჩუმის შემდეგ.

— აბა, მე რა ვიცი შვილო,—მიუგო დედამ,—ჩვენი სტუმარია, როგორც გითხარი, იერზე თუში უნდა იყოს, მონადირე.

— დიაღ, მონადირეა, სთქვა შვილმა,—მხოლოდ სხვა გვარი. მაგის ნადირი დიდ-ლეკი და ქისტია.

დედა გაშტერებული უყურებდა შვილს.

— დიაღ ეგ არის თუში როსტომი... ეგ არის ის როსტომი, რომელიც მძვინვარე მგელივით დანავარდობს ჩვენსა და მთელ ჩაჩან-დაღესტნის მთებზე და, როგორც გატაცებული მონადირე ნადირს, ისე ჟლეტავს დიდო—ლეკს და ქისტს... ბევრისთვის დედა უტირებია მაგას, ბევრი ახალგაზდა პატარძლისათვის ჩაუცმევინებია შავი და ბევრ მოხუც, დაუძლურებულ დედ-მამისთვის წაურთმევია უკანასკნელი იმედი, შემნახველი. მაგის სისხლს დაეძებენ, მაგის სისხლი სწყურიათ... მთელი ზღვაც რომ შეაყენოს მაგის სისხლმა, მაინც ვერ გაძღებიან, სუ თითო კოვზით შეჰხვრეტავს დიდი თუ პატარა, ქუდოსანი თუ მანდილოსანი... და ვინც მაგის თავს მიუტანს შამილის შვილს ყაზი მაჰამას-ჩაჩნის გამგებელს, ას ოქროს მიიღებს... ეტყობა კარგა უნადირნია, დაასრულა ხევსურმა, გუდაში კარგა ლეში სჩანს.

სთქვა ეს დააიღო სტუმრის გუდა, გაუხსნა პირი და ჩაჰხედა.

— აჰა!.. წამოიძახა და ჩაბღერტა. გუდიდან ხუთი სისხლში მოსვრილი კაცის მარჯვენა ჩამოვარდა.

— ვუი, შვილო!..—წამოიძახა დედამ და დაიკრა მუხლებზედ ხელი; პირი იბრუნა, რომ აღარ ეყურნა იმ საზიზღარ სანახაობისათვის. დანარჩენი ძმები იდგნენ ერთ ალაგას გაშეშებულნი.

—ჩაყარე, ჩაყარე, შვილო, ნუღარ აჩვენებ ჩემ თვალებს, - ემუდარებოდა დედა.

შვილმა ჩაყარა მარჯვენები ისევ გუდაში, შეუკრა პირი და დასდო თავის ალაგას.

— ქისტებს შეუტყვიათ,—განაგრძო ხევსურმა, რომ ეგ მათთვის საზიზღარი კაცი, დაუძინებელი მტერი, დღეს ჩვენ სოფელშია. წყაროზე დიაცებს ენახათ მომდინარი, მაგრამ არ-კი იციან, ვის სახშია, თუმცა ეძებენ.

ამ დროს გარედან ხმაურობა მოისმა, მითქმა-მოთქმა და ჩოჩქოლი.

— აი მოდიან, უთუოდ გაიგეს, რომ ჩვენს სახლშია,—სთქვეს ძმებმა.

— დავიღუპენით,—წამოიძახა შეშინებულმა დედამ,—სტუმარს მოგვიკლავენ.

— არა, დედავ, მაგისი ნუ გეშინიან, შენი და მამი ჩვენის შვილები მაგ სირცხვილს არა სჭამენ, სანამ პირში სული უდგათ... უთხრეს ძმებმა ერთხმივ დედას, —აბა, იარაღი!..

როსტომს არ ეძინა იმ დროს. დედა და შვილების ლაპარაკზე გამოეღვიძა და ლოგინში გატრუნული ყურს უგდებდა, და როდესაც გარედან ხმაურობა შემოესმა, წამოვარდა ზეზე და თავის თოფისაკენ გაემართა.

— როსტომ, გადაელობა წინ უფროსი ძმა,—შენ ნუ შესწუხდები, შენ ჩვენ მამა-პაპის ჰერ-ქვეშა ხარ, დედი ჩვენის მიერ თავის შვილად მიღებული. ჩვენ თვითონ დავიცავთ ჩვენი კერის სიწმიდეს, ჩვენი წვერ-ულვაშის ნამუსს. სანამ ჩვენი ჰერის ქვეშა ხარ და ჩვენთან, შენ ხელს ვერავინ ვერ გახლებს...

როსტომი შესდგა. თუშს ესმოდა ხევსურის პასუხი.

— ... ხარ, ... ...!.. ... დაიძახეს გარედან.

— შინ ვარ, მოვდივარ.—გაეხმაურა უფროსი ძმა.

ხუთივე იარაღში ჩამსხდარი ძმა გავიდა გარეთ.

— რა ამბავია, რისთვის გარჯილხართ ძმებო!... გასვლისთანავე მიუბრუნდა კურდღელა მის სახლის კარების წინ მოგროვილ, იარაღში ჩაწკეპილ ხევსურებს და ქისტებს.

— ვინა გყავს სახლში, კურდღელავ, ვინ გესტუმრა?—ჰკითხა ხევსურმა.

— როსტომი მყავს!—თამამად უპასუხა ხევსურმა.

— ჩვენი სისხლის მსმელი... ჩვენი დაუძინებელი მტერი?!.. იყვირეს ქისტებმა

— არ ვიცი, დღეს სტუმარია ჩემი.

— რის სტუმარი, სისხლი ყელს გვებჯინება!—წამოიძახა ერთმა გაშმაგებულმა ქისტმა და ხმლის ვადაზე ხელ დადებულმა წამოიწია წინ,—სტუმარი-კი არა, ეგ გაუმაძღარი სისხლის მსმელი მგელია... ეგ უნდა მოკვდეს!..

— ჩემი სტუმარი არ მოკვდება, სანამ ჩვენ ხუთივე ძმას პირში სული გვიდგა და მკლავი თავისუფალი გვაქვს!—წამოიძახა გულმოსულმა კურდღელამ. მის სახეს ნაცრის ფერი დაედო და თვალებში ელვამ გაურბინა.—მამა-პაპიდანვე, რაც ეს სახლი აქა დგას, ჯერ მაგისთანა სირცხვილი არ დასდებია, მაგისთანა ჩირქი არ მოსცხებია და არც მოეცხობა.

— თქვენი მიკვირს, ხევსურებო,—... რუნდა შემდეგ კურდღელა ...

* ) „ივერია“, № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი

## ახალი წელიწადი იაპონიაში

(რუსული ჟურნალებიდგან)

დღესასწაულობა ახალი წლისა იაპონიის სასახლეში გრძელდება რამდენსამე დღეს. უწინდელ დროის დღესასწაულობის სიმარტივე შეიცვალა ეხლა დიდ, მედიდურობით აღსავსე ცერემონიად. იმპერატორი იღებს სხვა-და-სხვა სახელმწიფოების ელჩებს, დედოფალი-კი—სწორე ქალებს. იქ ახალი წლის დღე ოფიციალურ დღესასწაულად გადააქციეს. ყველა შესანიშნავი პირი იმპერიაში იღებს მონაწილეობას; ამ დღეს საიმპერატორო ბაღები განათებულია, უფრო მეტად გაჩირაღდნებულია დიდი კორდი, დაფარული ჭილობით; კორდს შუა ადგილას სდგას პატარა მაგიდა კუნდრუკით და კანდელით. მიქადო (იმპერატორი) გამოდის სასახლიდგან, აცვია ტანთ ძველებური ტანისამოსი; მას ახლავან აფიცრები; მარტო ის ადის კორდზედ. გადახედამს ოთხსავე ქვეყნის მხარეს, ევედრება ღმერთს, რომელიც მფარველობს მისს იმპერიას, სთხოვს მიანიჭოს კეთილდღეობა იაპონიის ერს; შემდეგ მიქადო ხმაამოუღებლივ ბრუნდება თავის სასახლეში, ჯდება მარტო მაგიდასთან და ასრულებს სხვა-და-სხვა ძველ წესებს. შემდეგ იცვამს მუნდირს, შედის დარბაზში, სადაც ელის იმპერატრიცა; იმპერატრიცას აცვია ძვირფასი, მდიდრული ჯიგრის ფერი ტანისამოსი ოქროთ მოქარგული შლეიფით, გარს შემოკერებული აქვს ძვირფასი შავი ბეწვეული. ჯერ წარსდგებიან მთავრები და მთავრინები, შემდეგ უმაღლესი წარჩინებულნი პირნი, მინისტრები, აზნაურობა, უცხო კაცნი, რომელნიც იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში და ბოლოს ქურუმები კერპთ-მსახურთა შინტოის და ბუდდის სარწმუნოებისა. შემდეგ იმართება საიმპერატორო დიდი საუზმე. ორ საათზედ ხელ-ახლა იწყება მიღება; ამ დროს იმპერატორი იღებს სადიპლომატიო კორპუსის წევრებს, მეორე დღეს არის მიღება ყველა ჯარის აფიცრებისა და ფლოტისა, აგრეთვე სენატის წევრთა და პალატის დეპუტატთა! შემდეგ იწყება საყოველდღეო დღესასწაულობანი, რომელიც თავდება 18 იანვარს მოლექსეთა ცილობით. ამაზედ ეცნობება ყველას სამი თვით ადრე ოფიციალური გაზეთით. მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია, და მსურველებმა უნდა გაუგზავნონ თავიანთი პოეტური ნაწარმოებნი კომისიას არა უგვიანეს დამლევ დეკემბრისა. ლექსები ირჩევა სასახლის პოეტი-ქალის-ნი სეიშოს თავმჯდომარეობით სრულიად პირუთვნელად და საუკეთესო მათგანი იკითხება ანუ იმღერება ოფიციალურ რებაში იმპერატორის და იმპერატრიცი თანადასწრებით. ამა ცერემონიის ბოლოს იწყება საეკლესიო გალობა, რომლის ტექსტები შედგენილია მიქადოს მიერ. იმპერატორს პოეზია შესწავლული იქვს იმავე სეიშოსაგან, რომელიც ეხლა 76 წლისაა.

ვლადო ბზვანელი.

# წერილი

## რედაქციის მიმართ

(«ივერიის» ამხანაგობას).

„ივერია“ წელში გამაგრდაო, „ივერია“ დღეს მაგრად დადგა ფეხზეო. ეს იმისთანა სასიამოვნო ამბავი გავიგეთ ახალ წელს, რომლითაც დიდად ვისიამოვნეთ. ამას შემდეგ გავიგეთ, რომ „ივერიის“ თანამშრომელს მადლობის წერილი მიუღია თ-დ სუმბათიშვილისაგან „ღალატის“ მშვენივრად გადათარგმნის თაობაზედ და მადლობას უცხადებს ავტორი, როგორც მთარგმნელს, აგრეთვე რედაქციასაც. ერთის სიტყვით, ახალის წლის ნომერში გამოთქმული აზრი თითქმის ბეჯითი გამოდგა.

ამის შემდეგ, სხვა-და-სხვა საქმეების გამო გავემგზავრეთ იმერეთისაკენ. მივიხედ-მოვიხედეთ, მივიარ-მოვიარეთ და გავიგეთ, რომ ბ-ნ ი. ფანცხავას სრულიად არა ჰქონია იმისთანა გავლენა მთელს იმერეთში, როგორც მას ჰგონებია*); ხელის მოწერა შარშანდელზე ბევრად უკეთესად მიდის, თანაგრძნობა საზოგადოებაში მატულობს. მაგრამ... მაგრამ, აი, რას ამბობენ. იმ გაზეთს, რომელშიაც იყო დაბეჭდილი ზოგიერთი შარშანდელი, დიდად საყურადღებო, წერილებიო, რომელშიც იყო დაბეჭდილი წელს ზოგიერთი მეთაური, ვ. წერეთლის პასუხი „ყვირილელისო“ და სხვ., არ ეკიდება ალტაცებით და მღელვარებით მიეგებოს ქებას თუ გინებას იმისთანა გაზეთებისას, როგორიც არის „მოსკ. ვედ.“, „ნოვოე ვრ.“ „გრაჟდანინი“ და სხვა ამისთანებიო. ამას რო მოვკარით ყური, ჩვენც მაშინვე დავეთანხმეთ, მაგრამ ეს დეფექტები გაზეთისა დიდად არ გავაზვიადეთ და ავუხსენით ზოგიერთებს, რომ ამისთანა წერილებს არა აქვს მაინცა და მაინც მნიშვნელობა, რადგან ამითი სრულიად არ იხატება გაზეთის პროგრამა და ამისთანა წერილებს დავარქვით უბრალო ნეკროლოგის სახელი და სხვა ახალ ამბების გადმოცემა. ზოგიერთი კიდეც დავიჯერეთ, ზოგიერთმა „ჰმ“ წამოსთქვა, მაგრამ ზოგიერთმა ჯიუტობა გამოიჩინა და ბაქი-ბუქები დაიწყო. რას იზამთ, ბატონო! ქვეყანას ხომ ლაგამს ვერ ამოსდებთ. დღეს იმისთანა აღელვებული ცხოვრებაა, რომ სულ ცოტაა კაცისათვის საჭირო განზე გაგიდგეს. არათუ მარტო „ნერვები“, არამედ თავიც ისეა არეული, რომ შიგ აღარ ეტევა ცხოვრების ათასნაირი საჭირ-ბოროტო საგნები და ამის გამო დაუფიქრებლად იცვლება ყოველივე შეხედულობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ «ივერიას» ბევრი თანამოაზრე ჰყავს და ამის გამო დიდის ბოდიშის მოთხოვნით გულწრფელად ვურჩევთ მოხუცს გაზეთს დიდის გარჩევით და დაფიქრებით ბეჭდოს ზოგიერთი წერილები, რომელთაც, თუმცა მნიშვნელობა მაინცა და მაინც არა აქვსთ, მაგრამ ზოგიერთ აფუცფუცებულ და აჩქარებულ მკითხველზე გლახა შთაბეჭდილებას ახდენენ — ამისთანა მკითხველები ხომ ბევრი მოიპოვება ჩვენში.

თქვენის წარმატების მსურველი
გულთმეცარი.

*) ბ-ნმა ი. ფანცხავამ კერძო წერილი მოგვწერა და გვემუქრებოდა, „ივერიას“ იმერეთში არავინ დაიბარებს.

რედ.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ქ. ტფილისში.** ი. მ—ძეს. თქვენს წერილს „ნაძალადევი პროფესია“ ვერ ვბეჭდავთ, ის საგანი, რომელზედაც თქვენ სწერთ, სალაპარაკოდ არა ღირს.

**ქ. ნახიჩევანი.** ე. ბ—ძეს. თქვენს წერილს ექიმ გ—ის შესახებ ვერ ვბეჭდავთ; რედაქციამ მოსპო ამისთანა წერილების ბეჭდვა. თქვენ სხვაფრივ ნუ მოგვაკლებთ შრომასა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 იანვარი

**ევპატორია**, მეორე დღე-ღამეა, რაც საფოსტო გემი „წმიდა ნიკოლოზი“ გარიყულია; ფოსტა და პასაჟირები გადმოსხეს. უბედურების მიზეზი დიდი ბურუსი ყოფილა.

**ტოკიო.** კარგად მცოდნენი კაცნი იტყობინებიან, იაპონიამ მიიღო რუსეთის პასუხი, რომ ის პატივს სცემს უფლებათა და პრივილეგიას, რომელიც აწ არსებულ ხელშეკრულობათა ძალით მიიღეს სახელმწიფოებმა ჩინეთისაგან მანჯურიაში.

**ტოკიო.** იაპონიას არა ჰგონია, თუ ერთს კვირაზე ადრე მიიღებს რუსეთისგან პასუხსა, ის-კი მზად არის ომისათვის, რომელსაც დამშვიდებით ელის. მთელს იაპონიაში პატრიოტული ერთსულობა სუფევს; თუმცა ხალხს გული უთქვამს მშვიდობიანობისათვის, მაგრამ, მაინც იგი აღსავსეა სურვილით, უმალ იბრძოლოს, ვინემ იყოს აწინდელს მდგომარეობაში,

**პეტერბურგი.** ოფიცრები რუსეთის ჯავშნიანი გემებისა, რომელიც აქ სდგანან, მიიწვიეს სადღესასწაულო წარმოდგენაზე. მუნიციპალიტეტმა შამპანური ღვინო მიირთვა; მერმა და რუსთა კომანდირმა ერთმანეროის სადღეგრძელოები დალიეს. რუსთა ჰიმნსა და მარსელიზას ტაშის ცემით მიეგებნენ.

**კალკუტა.** სამი ათას-ოთხი ათათასამდე თიბეტელნი შეიყარნენ ქალაქ ფარიდან 40 მილის მანძილზე. ძალიან მოსალოდნელია რომ მოხდეს უსიამოვნო ამბები. ჯარების ჯანსაღობის მდგომარეობა ჯერ ისევ კარგია, თუმცა დიდი სიცივეები კია.

**ალჟირი.** აქ მოვიდა რუსეთის კრეისერი „ალმაზი“.

**სტოკჰოლმი.** დაიწყო რიქსტაგი. სეფე სიტყვაში მოხსენებულია, რომ მედიატორეთა სასამართლოს შესახებ დაწყებულია მოლაპარაკება სახელმწიფოებთან; მოხსენდა ისიც, რომ სახაზინო რკინის გზა გაკეთდეს ფინლიანდიის საზღვრამდე.

6 იანვარი.

**ყარსი.** 5 იანვარს მოინდომეს პოლიცმეისტერის თავად ხერხეულიძის მოკვლა. მასთან მყოფი პოლიციელი დასჭრეს, ტყვიამ გულის ფიცარი გაუხვრიტა. ერთი დაჭრილი ავაზაკთაგანი დაიჭირეს. თავადი ხერხეულიძე უვნებლად გადარჩა.

**პორტ-არტური.** „ნოვი კრაი“ ყურადღებით აღნიშნავს იაპონიის უზომო მოთხოვნილებათა კორეის შესახებ, რომელთაც უნდა უპირატესობა მოიპოვოს კორეას იმპერიაში; ამაზე არ დაყაბულდება არა თუ რუსეთი, არამედ არც სხვა სახელმწიფონი. სეულიდან შემაძრწუნებელი ამბები მოდის და ევროპიელთა წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყობაო. მისიათა დასაცავად, რუსთა ჯარს გარდა, მოვიდნენ კიდევ ამერიკისა, ინგლისისა და იტალიისა. ელიან საფრანგეთისას და გერმანიისასაც. იაპონელთ ვითომ ჰყავთ 600 ჯარის კაცი და 3000 სხვა ტანისამოსით სხვა-და-სხვა სოფლებშიო. მომეტებული ნაწილი კორეელ წარჩინებულ კაცთა ევროპიელთა მოწინააღმდეგე დასს ეკუთვნიან და იაპონელთა გავლენის ქვეშ არიან,

**მანილა.** აქ მოვიდა შეერთებულ შტატების აზიის სამხედრო ესკადრა. 6 იანვარს კრეისერების მოსვლასაც ელიან. როდესაც ყველა გემები მოიკრიბებიან, როგორც ამბობენ, მიიღებენ ბრძანებას, რომ იოკამშლოს წავიდნენ.

**პარიჟი.** პრინცესა მატილდა დაასაფლავეს; დაესწრო პრინცი ლუი ბონაპარტი და დიდძალი წარჩინებულნი ბონაპარტელთა მომხრენი.

7 იანვარი.

**პეტერბურგი.** 6 იანვარს მის უდიდებულესობის თანადასწრებით მოხდა ნათლის ღების პარადი.

**სტამბოლი.** ამ ბოლო ხნებში სომეხთა შესახებ ძალიან სისტიკი ღონისძიებანი იქმნა მიღებული. როგორც აქ, ისე პროვინციაში ფხიზლად ადევნებენ თვალყურ სომხებსა. პორტამ სომეხთა პატრიარქის დელეგატებს აღუკრძალა იერუსალიმს წასვლა. პატრიარქმა ორმანიანმა ამის შესახებ ენერგიული მოხსენება წარუდგინა ილდის-კიოსკსა.

**ტოკიო.** ამბობენ, იაპონიის მთავრობა ამ მოკლე დროში კონსულებს დანიშნავს მანჯურიის ნავთსადგურებში. რომელიც დაარსეს თანხმად სავაჭრო ხელშეკრულობათა ჩინეთთან.

**ბახმუტი,** ფაინშტეინის მადნებში 15 მუშა დაიტანა მიწამ; 14 გადარჩინეს.

**მოსკოვი.** გარდაიცვალა წარმომადგენელი დიდის სავაჭრო ფირმის ოტტო ვოგაუ.

**პორტ-არტური.** „უნივერსალ გაზეთი“ სწერს, რომ ის ხმები, ვითომ ინგლისმა ურჩია სახელმწიფოებს გავინაწილოთ ჩინეთიო, საფუძველ მოკლებულია.

**პორტ-არტური.** აქაურ მოხელეთა მოქმედება იმის საბუთია, რომ უსიამოვნობას არ უნდა მოველოდეთო. ჩვეულებრივ ცხოვრებას არავითარიმე ცვლილება არ ეტყობა. ჯარების მოძრაობა და თათბირი უმაღლეს სამხედრო პირთა ისევ არის.

**ტიან-ძინი.** რუსის ჯარები პეკინიდან და ტიან-ძინიდან პორტ-არტურში მიჰყავთ. პეკინში მცირე რაზმს დასტოვებენ, ხოლო ტიან-ძინს სრულიად დასცლიან.

**პარიჟი.** გარეშე საქმეთა მინისტრი დიდხანს ებასა რუსეთის ელჩსა. „მატენს“ სწერენ, ეს თათბირი კიდევ იმის მომასწავებელი არის, რამე ცვლილება მოხდა რუს-იაპონეს საქმეთა მდგომარეობაშიო; ჯერ ცვლილება არა არის-რაო.

**შანჰაი.** ნანკინის ვიცე კოროლი 10 ათას ჩინელს ამზადებს ჩრდილოეთისკენ გასაგზავნად და იაპონისაგან შეიძინა ერთი მილიონი ტაელის თოფი. ვიცე-კოროლმა და გუბერნატორმა ზღვის ნაპირის ადგილებს შეუკვეთეს იაპონიაში თოფ-იარაღი და ასაფეთქებელი მასალა.

**ნიუ-იორკი.** პეტერბურგიდამ დეპეშით იტყობინებიან, იქაურმა იაპონიის ელჩმა განაცხადაო, რომ არა ღირს ომის დაწყება იმისთანა საკითხების გამო, რომლის შესახებ ჯერ კიდევ მოლაპარაკებააო.

**ბერლინი.** პრუსიის სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნულია შემოსავალი 2.800.805.050 მარკა, ჩვეულებრივი გასავალი 2.626.260,668 მარკა და არა ჩვეულებრივი 174.544,382 მარკა.

**პეკინი.** როგორც მისიონერები იწერებიან, პრინცი ტუანი მძიმედ გახდარა ავად, ტუნფუსიანი ვითომ გარდაიცვალაო.

**კოპენჰაგენი.** დღეს მობძანდა დანიის მეფე.

**პარიჟი.** პროკურორმა გადასცა საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარეს მოხსენება დრეიფუსის საქმის გამო. სასამართლოს წარმომადგენელთა შორის ჰგონებენ, რომ სისხლის სამართლის განყოფილება თვით გამოიძიებს საქმეს და ამიტომ დაბოლოვებით განხილვა საქმისა მოხდება მხოლოდ ივნისის თვეშიო.

**სოფია.** კომიტეტმა, რომელსაც დავალებული აქვს ძეგლი დაუდგას მეფეს—განმათავისუფლებელს, დაადგინა 30 აგვისტოს აკურთხოს ძეგლი. პლევნის ძეგლიც დამთავრდება, აგრეთვე ის ისტორიული სახლებიც სადაც ცხოვრობდა იმპერატორი ალექსანდრე II. ამ სახლებში დააწყობენ ზარბაზნებს და სხვა საგნებს, რომელიც რუსეთმა შემოსწირა.

### პეტერბურგის ბირჟა 2 იანვარი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94, |
| ბერლინში 100 მარკაში | 45, |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 99½ გაყ. |
| 1% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 95⅛ გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 425 გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 329 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 276 გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. ს.-მ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 87 |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე | |

საყვედურით, —უნდა წამურტლოთ ჩვენი წინაპრების წმიდა ჩვეულება-ადათი?! განა სტუმრის არამც თუ მოკვლა, არამედ მცირედი შეურაცყოფა სირცხვილი, თავლაფდასხმა არ არის საშვილიშვილოდ მთელი სოფლის, მთელი თემისათვის?!. რის წვერულვაში გვესხმება ყბაზე, როგორ უნდა გავიდეთ თემში? არა!—დაასრულა მასპინძელმა—ჩვენი სახლი მაგ სირცხვილს არა სჭამს. ჯერ ჩვენ დავიხოცებით და შემდეგ შეგიძლიანთ რაც უნდა უყოთ სტუმარს; თქვენ იცით და თქვენმა სვინიდისმა.

თანამოძმის სამართლიანმა სიტყვებმა იმოქმედეს ხევსურებზე. ხევსურები დამშვიდნენ.

— ეგ თუ ჩვენი მოსისხლე მტერია, თქვენიც უნდა იყვეს, თუ ჩვენ ძმები ვართ,— დაიძახეს უფრო ბრაზ-მორეულ ქისტებმა,—თქვენ თვითონ უნდა აიღოთ სისხლი!..

ძაფი წყდებოდა. მახვილი უნდა გაპრიალებულიყო ახლად გამოკაშკაშებულ მზეზე და სისხლი დაღვრილიყო. ქისტებმა მიიწიეს კურდღელას სახლზე. ხუთივე ძმამ მოიმარჯვა იარაღი, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ დაეცვათ თავიანთი სტუმარი და მით თავიანთი კერის პატივი...

-- მოიცათ, მოიცათ... დაწყნარდით,— გაისმა ამ დროს ხმა. შუაში ჩადგა ფრიად მოხუცებული, ყავარჯენზე დაბჯენილი ხევსური. ბევრი დროების მოწამეს, დიაღ [illegible] ამნაირი შემთხვევები ენახა [illegible]რი ძმათა, სოფელთა და თემ[illegible]ა, შური და მტრობა. ახლა მოვიდა, რომ როგორმე აეცდინა ძმათა შორის სისხლის ღვრა. ქისტები შეჩერდნენ მოხუცის ხმაზე.

— ჩვენში და თქვენშიაც დიდი საშვილიშვილო სირცხვილია სტუმრის არამც თუ მოკვლა, არამედ პატარა შეურაცყოფაცკი,—მიუბრუნდა ქისტებს ცოტაოდენ დაფიქრების შემდეგ მოხუცი ხევსური,— კურდღელას სტუმარი არის მთელი ჩვენი სოფლის სტუმარიც, უნდა მივიღოთ, პატივი ვცეთ, შევინახოთ, თუ დასჭირდება, მისთვის სისხლიც უნდა დავღვაროთ... ეს არის ჩვენი მთის წესი და ადათი მამაპაპიდანვე. ჩვენ როსტომს ვერ მოვკლავთ, სანამ კურდღელა და მისი ძმები ცოცხალნი არიან, და თუ ეგენი დავხოცეთ, სისხლი ჩამოვარდება ნათესავთა და თემთა შორის. ასტყდება ერთი-ერთმანეთ შორის განუწყვეტელი ხოცვა-ჟლეტა. რამდენი უდანაშაულო სისხლი უნდა დაიღვაროს ერთი კაცის გულისათვის...

პატივცემულ მოხუცის სიტყვებმა იმოქმედა ქისტებზე. მხოლოდ ვერ იმოქმედა იმ პირველ ქისტზე.

— მაშ კარგი, შეინახეთ ეგ თქვენი სტუმარი და ვნახოთ როგორ წავა შინ ცოცხალი,— დაემუქრა ქისტი და გასწია შინ.

ხალხი დაიშალა, ყველა თავ-თავიანთ სახლისაკენ გაემართა. ისევ მშვიდობა და მყუდროება ჩამოვარდა სოფელში. დაღამდა...

III.

მზე ამოვიდა და მიესალმა კოპალის წყაროს, რომელიც გამოსჩქეფს უშველებელ ქვის ძირიდან ზედ უმთავრეს კავკასიონის ქედის ზურგზე და ნახევარს თავის წყალს აძლევს არაგვს და მეორე ნახევარს ანდაკის წყალს. ამ წყაროსთან იმყოფება თუშეთიდან მომავალი გზა: ერთი ჩადის უკანა ფშავეთში და მეორე-კი მთა-მთა გადადის ხევსურეთში. მგზავრი ვინც უნდა იყვეს, არ შეიძლება, რომ ამ წყაროსთან არ მოისვენოს, არ შენაყრდეს, ცივი წყლით ყელი არ გაისველოს.

ექვსი შეიარაღებული კაცი მივიდა წყაროზე. აბა ეხლა უნდა განვშორდეთ, სთქვა ერთმა მათგანმა, და რომ უფრო განურღვეველი იყოს ჩვენი ძმობა, უნდა ამ კოპალას წყაროსთან დავძმობილდეთ, როგორც მოითხოვს წესი და რიგი.

— დავძმობილდეთ, დიდის სიამოვნებით! უპასუხეს დანარჩენებმა.

— აჰაი ეს ჩემი ტყვია,—წარმოსთქვა პირველმა, ამოიღო მასრიდან ტყვია და მიაწოდა დანარჩენ ხუთს— ამ ტყვიით გამგმირეთ, თუ თქვენი ძმა არ ვიქნები, სანამ სული პირში მიდგა, თუ თქვენი სახლი ჩემ ღვიძლ სახლად არ მივიჩნიო, თქვენი დედა ჩემ დედათ, თქვენი დები ჩემს დებათ და თქვენი ცოლები ჩემს რძლებად!.. გამიტყდეს ვადაში ხმალი მტერზე მოქნევის დროს, თუ თქვენი მტერი ჩემს მტრებად არ ვიცნო, გინდ ჩემი ღვიძლი მამაც იყოს, თუ თქვენთვის არ გავწირო თავი, უკანასკნელ წვეთამდის არ დავანთხიო სისხლი. აი ვფიცავ ამ ჩვენი წმინდანი გმირი კოპალის წყაროსთან, გამგმიროს წმინდანმა თავის მრისხანე შუბით, თუ ვუღალატებ ძმობას!..

— აგრე იყოს, აგრე! ჩვენც ყველანი ხუთნი ძმანი გაძლევთ ფიცს,—წამოიძახა იმ ხუთმა. ამოიღეს ტყვიები და მისცეს იმ ერთს. ამის შემდეგ გადაეხვივნენ ერთმანერთს და გადაკოცნეს.

-- აბა ეხლა-კი მშვიდობით, ჩემო ძმებო,—გამოემშვიდობა პირველი, გზა დიდი მაქვს სავლელი, ბორბალოზე სეტყვა დაუდვია, ვერ გადავალ, არა, იორზე მომიხდება წასვლა.

— მშვიდობით, ხახმატის ჯვარი იყოს შენი მფარველი,— დაულოცა გზა ძმობილს იმ ხუთმა.

— როსტომი!—დაუძახა ერთმა ხუთთაგანმა,—ფრთხილად იყავი, ხომ იცი ძაღლები არიან ქისტები, არ ჩაგისაფრდნენ გზაზე და ზიანი არ მოგცენ.

— ნეტავი, ძმაო კურდღელავ, იმდენა გაბედულება მიეცეთ ქისტებს,—ღიმილით უპასუხა როსტომმა,—მეც ის მინდა.

— ფარულად, საფრიდან გესვრიან, თორემ ისე პირდაპირ რას გაგიბედავენ, —გააფრთხილეს ძმობილი ხევსურებმა,— მაინც სიფრთხილე გმართებს. შეკაზმულ-თავებული, ზურგზე გუდა-ნაბად აკიდებული თოფით ხელში როსტომი დაადგა უკანა ფშავის გზას. მისი ძმობილები, ხევსურები ავიდნენ კოპალას წყაროს გორაზე და დასხდნენ. იქიდან კარგა ხანს ადევნეს თავიანთ ძმობილს როსტომს თვალ-ყური ხევსურებმა. როსტომი დაიმალა ხევში.

მზე კარგა ამოვიდა. სითბო მოჰფინა შეციებულს მთებს. ერთი ნამცეცი ღრუბელი არსად არა სჩანდა ცაზე. დიდებულად გამოიყურებოდნენ მიყრილ-მოყრილი კავკასიონის მთები.

ხხხხ... გავარდა უცბად ხევში თოფი, გავარდა მეორე.

— ეჰ, ძმობილი მოგვიკლეს მაგ ძაღლებმა,—წამოიძახა კურდღელამ და, რა დაავლო თოფს ხელი, გაექანა ხევისაკენ. ძმები მიჰყვნენ ძმას. ძირს ხევში ტყის პირას დაინახეს ძმებმა მომავალი ქისტები. სამნი იყვნენ. ხევსურებმა იცნეს მეზობლები. ერთი მათგანი იყო ის ქისტი, რომელიც დაემუქრა როსტომს, ცოცხალს არ გაუშვებ შინაო. ხევსურებმა მოიცადეს გზაზე. არ გაიარა ბევრმა ხანმა, ქისტები მოადგნენ თავს და, რომ დაინახეს კურდღელა თავის ძმებით, შეკრთნენ.

— ჰაი ძაღლებო!—შეჰყვირა კურდღელამ და ერთ თვალის დახამხამებამდე ქისტებს გადაელობა წინ, როსტომ მოკალით ფარულად, მურდლად, ჩემი ძმობილი?!

ამ სიტყვებით იელვა ხმალმა და მოწინავე ქისტი დავარდა მკვდარი. ორი დანარჩენი ქისტი გადავარდა ერთ ღრეში და დაიკარგა.

— კალთაში რა უხვევია ამ ძაღლს,— წამოიძახა ერთმა ხევსურთაგანმა, რა დააკვირდა ქისტის გვამს, გაუხსნეს კალთა და აღმოჩნდა როსტომის თავი და მარჯვენა.

ივ. ბუქურ[illegible]ელი.

. . . . . . $92^1/_2$
...ად მამ. ბანკის გირ.
... . . . . . 101 წვრ. გაყ.
ფურც. იმავე ბანკისა . 91 გაყ.

## ...კინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

...ამს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს ... 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორ-...).

...: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს ... 8 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს ... წ. (მოსკოვს მიმავალი, მხოლოდ სამ-...ით).

...არევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) ... 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან ტამოდის:

...ის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. ... 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

...ს ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. ... ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. ...ხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს.

დ) ქუთაისიდან:

...ისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ... ს. 58 წ.

...ის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ3

ე) შორაპნიდან:

...ურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. ...) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

...: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ... 10 ს. 8 წ.



# განცხადებანი

# გამგეობა

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ქვე-მორე მოხსენებულნი მამულნი, გამოცხადე-ბულნი საჯარო ვაჭრობით გასასყიდად ...ახევარ წლის ვალიან შემოსატანის ფული-... და სხვა სავალდებულო გადასახადის ...შემოუტანლობისათვის იმ სესხის თავნსა ...არგებელში, რომელიც ბანკიდანა აქვთ ...ლი 1903 წლის მეორე ნახევრისა ...0 წარსულს დეკემბერს, რადგან ... ზოგიერთი უსწორ-მასწორო-... განცხადებაში, ... ...მულები ზემორე აღნიშნულ დღეებში ...რ იქმნა ვაჭრობაში ჩავარდნილი. მათი ...ასყიდვა გადადებულ იქმნა 12 იანვრისა-...თვის, შუადღისას, ბანკის სადგომში, ტფი-...ისს. თუ ვინიცობაა ამ დღეს ვაჭრობა ...რ შესდგა, განმეორებითი და უკანასკ-...ელი ვაჭრობა იქმნება 27 იანვარს.

ტფილისის მამულები.

...თუმანიშვილისა, ანასტასია ილიას ასუ-...ლისა: შენობანი და მიწა ზომით დოკუ-...მენტების მიხედვით 218 ჩორსო საჟენი, ...ხოლო ბანკის დაფასების აქტით 228,9 ...მეთე ნაწილში; ბაქოს ქუჩაზე. ...ი 36338 მან. 87 კ. შესატანი ...გადასახადი 1397 მან. 58 კ. სულ 37736 ... 45 კ.

...სამ, ვასილ ალექსანდრეს ძისა: ნაშე-...რი მამულისა, ზომით 97 ჩორსო საჟენი, ...მეთე ნაწილში, დიდუბეს, ქუთაისის ქუ-...ჩაზე. თავნი ვალი 1645 მ. 71 კ. შესა-ტანი გადასახადი 71 მ. 37 კ. სულ 1717 მ. 08 კ.

...ხოლოზოვისა, კონსტანტინე ანდრიას ...ძისა: შენობანი და მიწა ზომით 113,82 ...ჩორსო საჟ. მე-7 ნაწილში კოტლიარევი...ს და ვახტანგის ქუჩაზე. თავნი ვალი 23757 მ., შემოსატანი გადასახადი 876 ... 70 კ., სულ 24633 მ. 70 კ.

ქ. ბაქოში.

..., ქრისტეფორე ვართანის ...ძისა: შენობანი და მიწა ზომით დაახლოვ-...ებით 138... ჩორსო საჟენი 1-ლ ნაწილ-...ში ... ქუჩა. თავნი ვალი 28188 ... 16 კ. შესატანი გადასახადი 1137 მან. ...3 კ. სულ 29325 მ. 29 კ.

...თუმანოვისა, ქეზაგირა დანიელის ასული-...სა: შენობანი და მიწა ზომით 140,7 ...ჩორსო საჟენისა, ანუ რამდენიც აღმოჩ-...ნდება, სიმწლვრები დოკუმენტებით, კუთხე ...ების და საეკლესიო ქუჩისა. თავნი ...ი 40658 მ. 57 კ. შესატანი გადასა-...ხადი 1700 მ. 29 კ. სულ 42353 მ. 86 კ.

(2—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკისა შესავსებლად თავისის განცხადებისა, რომელიც დაბეჭდილი იყო „...ერიის“ 245 ნომერში 16 ნოემბერს 1903 წელს ამით აცხადებს, რომ 12 ამა იანვარს შუადღისას, ბანკის წესდების მე-20 §-ის ძალით, ბანკის სადგომში ქალაქ ტფილისს ფრეილინის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის სახლში დანიშნულია განმეო-რებითი და საბოლოვო საჯარო ვაჭრობა ქვემორე მოხსენებულ უძრავ მამულებისა, რომლებიც დანიშნული იყო გასასყიდად სავადო ნახევარ-წლისა და სხვა სავალდე-ბულო გადასახადთა შემოუტანლობისათ-ვის წარსულ 1903 წლის მეორე ნახევ-რის კუთვნილ ფულისა და რომელთა გას-ყიდვა უნდა მომხდარიყო დეკემბრის 18, 20, 22 და 24 და არ მოხდა-კი იმ დღე-ებში, რადგან მსყიდველნი არ გამოცხად-დნენ.

ქ. ტფილისში.

ვოლკოვისა, ნატალია სვიმონის ასულისა: შენობანი და მიწა ზომით დაფასების აქ-ტით 105 ჩორსო საჟენი, მე-10 ნაწილ-ში დიდუბეს, სევერნი პერეულოკში. თავნი ვალი 15,687 მ. 05 კ. შემოსა-ტანი გარდასახადი 561 მან. 75 კ. სულ 16,248 მ. 80 კ.

ვორონინისა, ნიკიტა ისაიას ძისა: შენო-ბანი და მიწა ზომით 260 ჩორსო საჟ., მე-8 ნაწ. რიყის ქუჩ. თავნი ვალი 14688 მ. 56 კ. შესატანი გარდასახადი 594 მ. 27 კ. სულ 15282 მ. 83 კ.

ჯავახიშვილისა, სოფია ალექსანდრეს ასულისა: შენობანი და მიწა ზომით 92,7 ჩორსო საჟენი 1 ნაწილში, უდელისა და სვიმონოვის ქუჩის კუთხე. თავნი ვალი 17,626 მ. 27 კ. შესატანი გარდასახადი 730 მ. 30 კ. სულ 18,356 მ. 30 კ.

ზინნეკერისა ედუარდ ფერდინანდის ძისა: შენობანი და მიწა ზომით 453 ჩორსო საჟ. დიდუბეს ელისაბედის ქუჩის განგრ-ძობაზედ. თავნი ვალი 24,578 მან. 98 კ. შასატანი გარდასახადი 1065 მან. 10 კ. სულ 25,644 მ. 08.

გრაბოვისა გიორგი მელქოს ძისა: შე-ნობანი და მიწა ზომით $452^1/_2$ ჩორსო საჟ. მე-4 ნაწილში ლერმონტოვის ქუჩა-ზედ. თავნი ვალი 65331 მან. 75 კ. შე-მოსატანი გარდასახადი 2,553 მან. 75 კ. სულ 67,885 მან. 50 კაპ.

როსტოვისა ანდრია სვიმონის ძისა: შე-ნობანი და მიწა ზომით $148^1/_2$ ჩორსო საჟ. მე-7 ნაწილში, დაღესტნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 11,334 მ. 97 კ. შემოსატანი გარდასახადი 486 მ, 15 კ. სულ 11.811 მ. 12 კ.

როსტოვისა ნიკოლოოზ სვიმონის ძისა: შენობანი და მიწა ზომით $148^1/_2$ ჩორსო საჟენი, მე-7 ნაწილში დაღესტნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 10,195 მ. 71 კ. შემოსატანი გარდასახადი 381 მ. 99 კ. სულ 10,577 მ. 70 კ.

სარაჯიშვილისა სოლომონ პეტრეს ძისა: შენობანი და მიწა ზომით 140 ჩორსო საჟ. მე-10 ნაწილში, გორის ქუჩაზედ. თავნი ვალი 14,605 მან. 77 კ. შემოსა-ტანი გარდასახადი 673 მ. 69 კ. სულ 15,279 მ. 46 კ.

ტერტეროვისა, შუშანა სარქისის ასულისა (იგივე დავითის ასულისა): შენობანი და მიწა ზომით 60 ჩორსო საჟ. მე-5 ნაწილ-ში. კუთხე პოკლონისა, ფეთხაინისა და ბეზიმინის პერეულოკებისა. თავნი ვალი 3916 მ. 95 კ. შემოსატანი გარდასახადი 154 მ. 45 კ. სულ 4071 მ. 40 კ.

თუთაევისა, ალალო ათანასეს ძისა: შე-ნობანი და მიწა ზომით 195 ჩორსო სა-ჟენი, მე-10 ნაწილში, დიდუბეს. თავნი ვალი 32363 მ. 30 კ. შემოსატ. გარდ. 1201 მ. 73 კ. სულ 33563 მ. 03 კ.

ხალზინისა, კონსტანტინე ანდრიას ძისა: შენობანი და მიწა ზომით 118.4 ჩორსო საჟ., მე 7 ნაწილში ნორიოს ქუჩაზე. თავ-ნი ვალი 9236 მ. 73 კ. შესატ. გარდ. 356 მ. 68 კ. სულ 9594 მ. 41 კ.

ხოლზოვი. კონსტანტინე ანდრიას ძე: შენობანი და მიწა ზომით 535,6 ჩორსო საჟ. მე7 ნაწ., კუთხე არხანგელსკისა და მახათის ქუჩისა. თავნი ვალი 55261 მ. 30 კ. შემოსატ, გარდ. 1962 მ. 31 კ. სულ 57223 მ. 61 კ.

ხოლზოვი, კონსტანტინე ანდრიას ძე: შენობანი და მიწა ზომით 200 ჩორსო საჟ., მე-7 ნაწ. ვახტანგის ქუჩაზე. თავნი ვალი 35,416 მ. შემოსატ. გარდ. 1310 მ. 05 კ. სულ 35756 მ. 44 კ.

ქ. ბაქოში.

წურინოვი, ნიკოლოოზ იაგორის ძე: შენობანი და მიწა ზომით 185 ჩორსო საჟ. ბალახანის ქუჩაზე. თავნი ვალი 32526 მ. 86 კ. შემოსატ. გარდ. 12.. მან. 38 კ. სულ 33750 მ. 24 კ.

ქ. ქუთაისში.

გამრეკელოვი, გრიგოლ გიორგის ძე: შენობანი და მიწა ზომით 340 ჩორსო საჟენი ტფილისის ქუჩაზე. თავნი ვალი 12961 მ. 26 კ. შემოსატ. გარდ. 551 მ. 79 კ. სულ 13513 მ. 05 კ.

ქალაქ ფოთში

ჯანჯღავას, ეფროსინე შავარდენის ასუ-ლისა: შენობანი და მიწა ზომით 345 ჩორსო საჟ. კუთხე ივანოვისა და ლაზარე-ვის ქუჩისა. თავნი ვალი 823 მ. 63 კ. შემოსატანი გარდასახადი 85 მ. 02 კ. სულ 908 მან. 65 კ.

ტფილისის გუბერნიაში

თელავის მაზრა

ჭავჭავაძე გიორგი მელქისედეკის ძე (მე-მკვიდრენი) სხვა-და-სხვა გვარი მამული, ზომით 971 დეს. 1250 ჩორსო საჟ. სოფ. ყვარელში. თავნი ვალი 14,007 მ. 34 კ. შემოსატანი გარდასახადი 436 მ. 68 კ. სულ 14,444 მ. 02 კ.

ჯანდიერი ანასტასია ბესარიონის ასული: ვენახები ზომით დაახლოვებით 2 დეს. 570 ჩორსო საჟ. სოფ. ვაჩნაძიანში. თავნი ვალი 300 მ. შემოსატანი გარდასახადი 27 მ. 12 კ. სულ 327 მან. 12 კ.

ჯანდიერი, დავით გიორგის ძე: სხვა-და-სხვა სახნავ-სათესი მამული ზომით 7 დეს. 194 ჩორსო საჟ. სოფ. ვაჩნაძიანში. თავნი ვალი 1600 მ. შემოსატანი გარდა-სახადი 8 მ. 73 კ. სულ 1678 მ. 78 კ.

გორის მაზრაში.

ავალიშვილისა, ელისაბედ ივანეს ასული-სა: სახნავ-სათესი მამული, ზომით 66 დ. 2100 ჩორსო საჟ. სოფ. ბრეთს. თავნი ვალი 3097 მ. 82 კ. შემოსატანი გარდა-სახადი 113 მ. 41 კ. სულ 3211 მ. 23 კ.

ჯავახიშვილები, გრიგოლ ალექსანდრეს ძე: თამარ და ნატალია ილიას ასულნი: სახნავ-სათესი მამულები ზომით 1390 დ. საჯავახოში. თავნი ვალი 21404 მ. 22 კ. შემოსატანი გარდასახადი 684 მ. 82 კ., სულ 22089 მ. 04 კ.

ხერხეულიძისა, ოლღა სტეფანეს ასული-სა: სახლ-კარის ადგილი და ორი ხეხილი-ანი ვენახი, ზომით 4 დეს. 2100 ჩორსო საჟ. სოფ, ერგნეთში, თავნი ვალი 1400 მ., შემოსატანი გარდასახადი 69 მ. 92 კ. სულ 1469 მ. 92 კ.

ტფილისის მაზრაში.

თარხნიშვილი, ნიკოლოოზ გიორგის ძე: სხვა-და-სხვა მამული ზომით 233 დეს. 956 ჩორსო საჟ. სოფ. ლისში. თავნი ვა-ლი 14,880 მ. 23 კ. შემოსატანი გარდა-სახადი 693 მ. 12 კ. სულ 15,573 მან. 35 კაპ.

დუშეთის მაზრაში.

ეაფიანი, ნინო იაგორის ასული: მიწა ზომით 463 დეს. 1690 ჩორსო საჟენი, აგარაკ მილახვრიანთ-კარი, იცრია და კე-რანა. თავნი ვალი 9905 მ. 66 კ., გარ-დასახადი 331 მ., სულ 10,236 მ. 66 კ.

ზანდუკელი, გრიგოლ ოტიას ძე მამული ბანკისაგან იყიდა, ხოლო ჯერ არ და-უმტკიცებია): ვენახი, ზომით 4 დეს. 1990 ჩორსო საჟენი, აგარაკ ქინვალში, საკანა-პის ხევის მიდამოში. თავნი ვალი 1530 მ., გარდასახადი 531 მ. 96 კ., სულ 2061 მ. 96 კ.



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლე-იტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლე-ბა ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკ-რავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
Б. М. МИРИМАНЦАНЪ
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—13

# ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცო-დნაა საჭირო და არც ხარჯი, მხო-ლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი

ადრესი: U. 111 an des Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44.

(50—44)

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესო-ბის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინა-გან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნა-ლო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურ-ნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.




# „Тифлисскій Листокъ“

## (годъ изданія XXVII-й)

Въ 1904 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: 1. Дѣйствія и распоряженія правительства. 2. Телеграммы отъ собственныхъ кореспондентовъ и „Россійскаго телеграфнаго агентства“. 3. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. 4. Внутреннія извѣстія 5. Иностранныя извѣстія. 6. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). 7. Кореспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашихъ кореспондентовъ). 8. Злободневные фельетоны. 9. Судебный отдѣлъ. 10. Письма читателей. 11 Обзоръ печати (общей и кавказской). 12. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетрист., иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.) 13. Театръ и музыка. 14. По Россіи. 15. Смѣсь. 16. Справочный отдѣлъ и объявленія.

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться **телеграммы съ правочнымъ отдѣломъ и объявленіями.**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА**

На годъ: съ доставкой въ Тифлисѣ 5 р., съ пересылкой иногороднимъ —7 р.—за границу—12 р. На полгода: въ Тифлисѣ—3 р., для иногороднихъ—4 р. и за границу—7 р. На 3 мѣсяца въ Тифлисѣ—1 р. 75 к., для иногороднихъ —2 р. 50 к. и заграницу—4 р. На одинъ мѣсяцъ: въ Тифлисѣ —75 к., для иногороднихъ—1 р. и заграницу—1 р. 50 к.

**Подписка принимается на любой срокъ, но только съ 1-го числа каждаго мѣсяца, исключительно въ конторѣ изданія, Головинскій проспектъ. № 3.**

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ: для Закавказья за мѣсто, занимаемой строкой петита передъ текстомъ—10 к. и послѣ текста 5 к. Извѣщенія о зрѣлищахъ печатаются на первой страницѣ по 20 к. за строку и на 4—по 10 к. За объявленія въ справочномъ отдѣлѣ взымается по 8 к. за строчку. Объявленія внѣ предѣловъ Закавказья принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. и Э. Метцль и К° въ Москвѣ, Мясницкая, домъ Ситова и въ отдѣленіяхъ его въ С-Петербургѣ, на Большой Морской. № 11; въ Варшавѣ, Краковское предмѣстье, № 53 по 24 к.—передъ текстомъ и 12 к. послѣ текста.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ НА ЖУРНАЛЪ

V г. ИЗД. # НОВЫЙ МІРЪ VI г. ИЗД.

**Иллюстрированный вѣстникъ современной жизни, политики, литератури, науки, искуства и прикладныхъ знаній, съ преміями и приложеніями.**

Изданіе Товарищества **М. О. ВОЛЬФЪ**.—Общая редакція **П. М. ОЛЬХИНА.**

Въ теченіи года каждый подписчикъ „НОВАГО МІРА“ получаетъ съ доставкой и пересылкой

**СЛѢДУЮЩІЯ ИЗДАНІЯ И ПРЕМІИ КЪ НИМЪ:**

НОВЫЙ МІРЪ богато иллюстрированный литературно-художественный журналъ, въ форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій, заключающій въ себѣ: беллетристику, поэзію, исторію, критику и статьи по всѣмъ отраслямъ знаній. Всего 24 №№ ЖИВОПИСНАЯ РОССІЯ иллюстрированный вѣстникъ отчизновѣдѣнія, исторіи, культуры, государственной, общественной и экономической жизни Россіи. Въ годъ 24 №№. ЛИТЕРАТУРНЫЙ КУРЬЕРЪ обзоръ событій и явленій въ русскомъ и иностранномъ литературномъ мірѣ, составляющій, вмѣстѣ со „Всемірной Лѣтописью“, составную часть „Новаго Міра“,—24 №№. ВСЕМИРНАЯ ЛѢТОПИСЬ иллюстрированный обзоръ текущей жизни—политической, общественной и художественной—24 №№ ВРЕМЕННИКЪ Живописной Россіи, обзоръ текущей русской жизни, представляющій собою газету-лѣтопись,—24 №№

МОЗАИКА иллюстрированный журналъ прикладныхъ знаній новѣйшихъ изобрѣтеній, съ хроникой самообразованія и справочнымъ отдѣломъ,—24 №№.

## Литературные вечера

въ колич., 24 книж., въ составъ которыхъ войдутъ 20 РОМАНОВЪ ВЪ 24 ТОМАХЪ русскихъ и иностранныхъ беллетристовъ. серія эта будетъ заключать въ себѣ историческіе, бытовые и соціальные романы.

## Библіотека русскихъ и иностранныхъ писателей

въ 24 книгахъ, въ составъ которыхъ войдутъ: СОЧИНЕНІЕ ЛЕССИНГА въ 10 томахъ, въ переводѣ русскихъ писателей, подъ редакціей П. Н. Полевого съ портретомъ и біографіей Лессинга.

ПОЛНОЕ СОБРАНІЕ ПОСЛОВИЦЪ РУССКАГО НАРОДА поговорокъ, реченій, присловій, чистоговорокъ, прибаутокъ, загадокъ, повѣрій и проч.

Капитальный трудъ В. И. Даля въ 8 томахъ.

## ЭНЦИКЛОПЕДІЯ ОСТРОУМІЯ

Собраніе перловъ всемірнаго остроумія въ 2 томахъ, составленное В. Поповымъ.

Независимо отъ всего вышеперечисленнаго, всѣ подписчики получаютъ еще:

Великолѣпное художественное, истор. изданіе: **Царь Іоаннъ Грозный**

**Его царствованія, его дѣянія, его жизнь, современники и дѣятели**

въ портретахъ, гравюрахъ, живописи, скульптурѣ, памятникахъ зодчества и пр. и пр. (около 300 иллюстрацій), подъ редакціей Н. Б. Головина.

Особую, цѣнную, роскошную премію: **17 геліогравюръ**

съ картинъ всемірно-извѣстныхъ художниковъ. исполненныхъ въ Лондонѣ въ художественномъ ателье rembrandt Printing Co, которыя могутъ служить для украшенія стѣнъ и для большого настольнаго кипсека или альбома.

Годовая подписная цѣна **«Новаго Міра»** на веленевой бумагѣ на 1904 г., со всѣми вышеобъявленными преміями и приложен., съ дост и перес. **14 р.**

Годовые подписчики, уплачивающіе сразу всю подписную сумму, получаютъ всѣ 17 геліогравюръ при самой подпискѣ.

Допускается льготная разсрочка платежа по 2 руб. въ мѣсяцъ, или же, по желанію, отъ 2 р. при подпискѣ и отъ 1 р. въ мѣсяцъ, до полной уплаты всей подп. суммы.

Печатается ограниченное количество экземпляровъ на лучшей слоновой бумагѣ. Подписн. цѣна такого изд., указанными выше прем. и прилож. **18 р.**

**Подписка на „НОВЫЙ МІРЪ“ принимается въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. ВОЛЬФЪ: въ С.-Петербургѣ, Гостинный Дворъ, 18 и въ Москвѣ, Кузнецкій Мость, 12, д. Джамгаровыхъ, а также въ редакціи журнала: С.-Петербургѣ, В. О., 16 л., 5—7 с. д.**